

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის შესახებ

თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ქართული გალობის აღდგენისა და მისი ღვთის-მსახურებაში დამკვიდრების ძალზე მნიშვნელოვანი პროცესის მომსწრენი ვართ. ქართული საეკლესიო გალობის მრავალფეროვანი მუსიკალური სამყარო კვლავ რჩება მეცნიერული კვლევა-ძიებისა თუ პრაქტიკული შესწავლის მდიდარ ასპარეზად. ბუნებრივია, რომ ყურადღება გაიზარდა ქართული გალობის დღემდე მოღწეული ყოველი წყაროსადმი, ნევმირებული კრებულები იქნება ეს, სანოტო თუ აუდიო ჩანაწერები.

როგორც ცნობილია, სანოტო ჩანაწერების დიდი უმრავლესობა ქართული გალობის დასავლური შტოს სამგალობლო სკოლების ნიმუშებს წარმოადგენს (გელათის, შემოქმედის სკოლები და სხვა). ამიტომ, ხშირად სწორედ ამ სკოლათა სამგალობლო ტრადიციები ხდება ამა თუ იმ დაკვირვების საფუძველი ქართული გალობის შესწავლის საქმეში. მაგრამ ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ყოველი წყაროს, ყოველი ინფორმაციის შესწავლა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციას, ე. წ. „ქართლ-კახურ“ გალობას ასახავს. უდავოა, რომ ამ ტრადიციის უმთავრეს წყაროს მღვდლები კარბელაშვილების დანატოვარი წარმოადგენს, რომელიც არაერთმა კომპოზიტორმა თუ ლოტბარმა გამოიყენა ქართული გალობის თავისებურად გადამუშავების საფუძველად (მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ზ. ფალიაშვილის მიერ შედგენილი საგალობელთა კრებული, „ქართული (ქართლ-კახური) საეკლესიო საგალობლები, ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის“). მაგრამ წარმოადგენს თუ არა კარბელაშვილების კილო ე.წ. „ქართლ-კახური გალობის“ ერთადერთ ორიგინალურ ტრადიციას?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ჩვენს ხელთ არსებული ქართლ-კახური გალობის ჩანაწერთა ანალიზითა და „კარბელაანთ კილოსთან“ მათი შედარებით. ამ თვალსაზრისით უპირველესად უნდა შეეჩერდეთ დ. არაყიშვილის ნაშრომზე „I შიბცეი რქი é áóრí áí í é í áბí áí í é í óცნ éá, რí ბéჩí აჩი éáí í áí á-áí á“ (Áðâé:éââ, 1905:77-118). ნაშრომი შედგება ქართული სასულიერო მუსიკის თოთხმეტგვერდიანი ისტორიული მიმოხილვისაგან და 36 საგალობლის სანოტო ჩანაწერისგან, რომელიც ფონოგრაფის მეშვეობით თავადვე ჩაუნერია მეცნიერს თბილისში, სავარაუდოდ 1905 წელს. საგალობელთა გადმომცემნი ყოფილან: „გალობის იშვიათი მცოდნე“ გიორგი ზალიკაშვილი (მთქმელი), მღვდელი მ. ომანიძე (ბანი) და კალოუბნის ეკლესიის დიაკვანი ნ. კუჭაიძე (მოძახილი).

სანამ სანოტო ჩანაწერებზე გადავიდოდეთ, ყურადღებას გავამახვილებთ მის მოკლე წინასიტყვაობაზე, სათაურით „ქართული საგალობლების ფონოგრაფიდან ნოტებზე გადაღების შესახებ“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ: „საგალობელთა ფონოგრაფიდან ნოტებზე გადაღებისას, ცხადია იმავე დაბრკოლებას წაჰყვანდით, რასაც საერო სიმღერების ჩანერისას ვხვდებოდით. ეს დაბრკოლება ძირითადად მდგომარეობდა როგორც საგალობელთა ბგერწყობაში, რომელიც განსხვავდება ფორტეპიანოს წყობისაგან, ასევე თავისებურ ხალხურ რიტმში, რომელსაც საკუთარი კანონები გააჩნია“ (Áðâé:éââ, 1905:93).

ბგერწყობის, კერძოდ, ქართული გალობის ბგერწყობის საკითხს დ. არაყიშვილი „ქართული მუსიკის მოკლე მიმოხილვაშიც“ (1925) ეხება, სადაც წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გალობის მრავალი კადენცია დასავლეთ ევროპის გალობათა კადენციებს ჰგავს, მაინც უყოყმანოდ ვიტყვოდით, რომ ჩვენი გა-

ლობის ბგერათანყებები ხალხურია, ქართველი ხალხის შექმნილია. ყოველ შემთხვევაში, ის არ არის არც ამბროსის ბგერათანყება, არც გრიგოლის და, რასაკვირველია, არც თანამედროვე მაჟორი და მინორი“ (დ. არაყიშვილი, 1925:29).

დ.არაყიშვილისათვის ქართული ბგერათანყობის პრობლემა რომ აქტუალური იყო, ამაზე მეტყველებს საგალობელთა სანოტო ჩანაწერების სქოლიოებში მრავლად აღნიშნული შენიშვნები, ამა თუ იმ ბგერის ოდნავ ამალღებულობის ან დადაბლებულობის შესახებ. თუმცა დ. არაყიშვილისვე სიტყვებით: „საგალობელთა ნყოფა ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაში გვაყენებდა, რომ არ ვიცოდით რა გვემოქმედა.“ (Aðâ:èââ, 1905:93) (ვისაც ქართული გალობის ან ხალხური სიმღერის ნოტებზე გადაღებასთან ჰქონია საქმე, მისთვის უთუოდ ნაცნობია ეს მდგომარეობა).

„ჩვენი საგალობლების უმეტესობას ბუნებრივი ნყოფა აქვს და არა თანამედროვე, ტემპერირებული, ფორტეპიანოს ნყოფა – ნერს დ. არაყიშვილი – ამიტომ, ბევრი საგალობლის ზუსტად ჩანერის არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს“ (Aðâ:èââ, 1905:91). „რაც შეეხება რიტმს, როცა, მაგალითად, ნოტის გრძლიობა ჟღერდა მეოთხედს დამატებული მეთექვსმეტედი, ან მეთექვსმეტედაკლებული ნახევრიანი ჟღერდა, ან ნახევრიანს დამატებული მეთექვსმეტედი პლიუს ოცდამეთორმეტედი, ან კიდევ სხვა კომბინაცია, ძალაუნებურად გვინევდა მათი გათანაბრება ტაქტთან მიმართებაში. ტაქტის ხაზი და დაჯგუფებები კი იმიტომ აღვნიშნეთ, რომ მელოდიათა მოძრაობები (ტემპები) ბუნებრივი სახით აგვესახა. თუმცა განვმარტავთ, რომ ტემპები მეტრონომიულად ზუსტი არაა“ (Aðâ:èââ, 1905:93).

მიუხედავად ამგვარი დაბრკოლებებისა, როგორც ვხედავთ დ. არაყიშვილს მეტად პედანტური მიდგომა ჰქონდა საგალობელთა ფონოგრამიდან ნოტებზე გადაღების პროცესში, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაა აგრეთვე, არა მხოლოდ ნოტების, არამედ ცეზურების აღნიშვნაც (ნიშნით V), იმ მომენტებში, სადაც მგალობლები სუნთქვას იღებდნენ.

საგალობელთა დ. არაყიშვილისეულ ჩანაწერებს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს: მასში ჭარბად გვხვდება სხვადასხვა სახის მელიზმები, რომელიც კარბელაშვილების ჩანაწერებში ძალზედ იშვიათად და მინიმალურად გამოიყენება. ეს საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ დ. არაყიშვილის ჩანაწერებში მოიპოვება სამი საგალობელი, რომელიც თვით ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილებისგან არის ჩანერილი. ესენია: „ნმიდაო ღმერთო“ (№17), „ჯვარსა შენსა“ (№18) და ერთი „უფალო შეგვიწყალებ“ (№6).

თავად დ. არაყიშვილი აღნიშნავს, რომ „თვალის ერთი გადავლებითაც კი შეუძლებელია არ შეამჩნიოთ სხვაობა კარბელაშვილებისა და ჩვენს კილოებს შორის, როგორც ჰარმონიის მხრივ, ისე, უფრო ზუსტი რიტმის, მეტად დახელოვნებული მოძახილისა და მელიზმების სიმცირის მხრივ“ (არაყიშვილი 1905:101).

მიუხედავად დ. არაყიშვილის ამ განცხადებისა, უნდა ითქვას, რომ მელიზმების ის რაოდენობა და სახეობები, რომელიც კარბელაშვილების გალობის არაყიშვილისეულ ჩანაწერებშია მოცემული, „კარბელაანთ კილოს“ არცერთ სხვა ჩანაწერში არ გვხვდება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დ. არაყიშვილს კარბელაშვილებმა მელიზმური შესრულებით ისეთი ვარიანტი ჩააწერინეს საგალობლებისა, რომელსაც თავად არ წერდნენ, რაც ნაკლებ დამაჯერებელია. ან, თავად კარბელაშვილები არ თვლიდნენ აუცილებელ საჭიროებად მელიზმების აღნიშვნას საკუთარი კრებულების შედგენისას. ეს ელემენტი, შესაძლოა, თვით მგალობელთათვის ყოფილიყო მინდობილი. ამ მოსაზრებას საფუძველს უმყარებს ის გარემოებაც, რომ მელიზმების ჩანერა

საკმაოდ ართულებს ნოტების ფაქტურას და ამასთან, მათი ზუსტად ჩანერაც ხომ მეტად სათუო საკითხია. სწორედ ამიტომ დასძენს დ. არაყიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთ პირობით შენიშვნას: „მელიზმები, რა თქმა უნდა, სრულდება არა ევროპულად, არამედ თავისებურად“ (არაყიშვილი, 1905:93).

ბუნებრივია ამ მელიზმების შესაძლო კავშირი კახური სიმღერისთვის დამახასიათებელ მელიზმურ ორნამენტებთან, მაგრამ მაინც, როგორ სრულდება იგი გალობაში? ამ კითხვაზე პასუხს თვით დ. არაყიშვილის ფონოგრამები გაგვცემდა ყველაზე უკეთ, მაგრამ მათი არარსებობის პირობებში, აღნიშნულ საკითხზე გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვიქმნას ერთმა უნიკალურმა ჩანაწერმა, რომელიც ეთნომუსიკოლოგ კახი როსებაშვილს ეკუთვნის და მის პირად არქივში ინახება. ეს ჩანაწერი 1960-იან წლებში, თბილისშია შესრულებული. მასში დაფიქსირებულია ქაშვეთის იმდროინდელი მოხუცი მგალობლების მიერ შესრულებული საგალობლები. ეს ჩანაწერი თავის მხრივ ცალკე დაკვირვებისა და კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა მისი, როგორც ქართლ-კახური გალობის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ავთენტური შესრულების აუდიო ჩანაწერის შედარება ძმები კარბელაშვილებისა და დ. არაყიშვილის სანოტო ჩანაწერებთან.

შესადარებლად შევჩერდით წირვის საგალობელზე „შენ გიგალობო“. სანოტო დანართში დ. არაყიშვილის კრებულიდან წარმოგიდგინთ ამ საგალობლის პირველ ორ მუხლს (მაგ. 1; *Аოა၃၃၃၃၃*, 1905:113).

როგორც ვხედავთ, საგალობელში საკმაოდ ხშირად გვხვდება მელიზმური მოძრაობები, რომელიც ოცდამეთორმეტელებით არის გამოწერილი. მელიზმები ამ ჩანაწერის პირველ ხმაში, მთქმელშია მოცემული. სწორედ პირველი ხმის გადმომცემი, გიორგი ზალიკაშვილი ჰყავს დ. არაყიშვილს მოხსენიებული როგორც „გალობის იმეათი მცოდნე.“ მთლიანობაში საგალობლის ფაქტურა მარტივია, სადაა. მელიზმებს თუ გამოვრიცხავთ და ხმათა მსვლელობას დავაკვირდებით, იგი ძირითადად სამივე ხმის პარალელური მოძრაობებისგან შედგება. მეორე ხმა, მოძახილი ამ ჩანაწერში შესამჩნევად უბრალოდ გამოიყურება, ამავე ხმის კარბელაშვილისეულ ჩანაწერთან შედარებაში.

სანამ ამ უკანასკნელზე შევჩერდებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ სანოტო მაგალითებში (მაგ. 2, 3, 4.) წარმოდგენილია შესადარებლად შერჩეული საგალობლის სამივე ვარიანტის პირველი ხმები (პირველი ორი მუხლი), რომელიც საერთო ლერძის მქონეა როგორც დ. არაყიშვილის და კარბელაშვილების ჩანაწერებში (კარბელაშვილი, 1899:29), ისე ქაშვეთის მგალობელთა შესრულებაში. ამის თვალსაჩინოებისათვის, ციფრებით აღვნიშნეთ სწორედ ის ბგერები, რომელიც საერთოა საგალობლის სამივე ვარიანტში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ბგერათაგან თითქმის ყველა სიტყვიერ მარცვალზე სრულდება. ტექსტიც ერთნაირად ნაწილდება სამივე ჩანაწერში.

ერთი შეხედვით, წარმოდგენილ სანოტო ნიმუშებში კარბელაშვილის ჩანაწერი უფრო სადად გამოიყურება, ვიდრე დ. არაყიშვილისა. თუმცა, ხმათა მსვლელობა, მოძახილის ჩუქურთმოვანი დარბაისლური მოძრაობა და ჰარმონიული თანაჟღერადობების სიმდიდრე, კარბელაშვილების ვარიანტის მეტად განვითარებულობასა და გამშვენებულობაზე მეტყველებს.

და მაინც, ზუსტად ასახავს თუ არა ეს ჩანაწერი შესრულების იმ თავისებურებებს, რომელიც დამახასიათებელი იყო კარბელაშვილების გალობისათვის? მელიზმების ფიქსირება ნოტაციაშია უარყოფილი, თუ მართლა ამ მუსიკალური ორნამენტების გარეშე გალობდა „ქართლ-კახური კილოს“ დამცველი და შემნახველი, მგალობელთა ეს ტრადიციული დინასტია?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენდა სამნუხაროდ, ქართლ-კახური კილოს საგალობელთა არც კარბელაშვილების და არც მათთან დროით მიახლოებული სხვა შემსრულებლის აუდიო ჩანაწერი არ მოგვეპოვება დღეს. ამიტომ, უადრესად საინტერესო და ძვირფას მასალას წარმოადგენს კახი როსებაშვილის მიერ ჩანერილი ქაშვეთის მგალობელთა გუნდის გალობა.

პირველი, რაც თვალში ეცემა მსმენელს ამ ჩანაწერების მოსმენისას ეს, ერთის მხრივ, მელიზმების სიუხვეა, მეორეს მხრივ – თავისუფალი მეტრო-რიტმული სივრცე.

„სიძველის მატარებელი ისეთი ნიშნების არსებობა, როგორცაა მეტისმეტად გაშლილი და თავისუფალი რიტმი ჩვენს გალობაში, დიდ სირთულეს უქმნის შემკრებსა და მკვლევარს ამ საქმეში. ამგვარად, საჭირო ხდება ფიქრი გარკვეულ მეთოდზე, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მელოდიის ზუსტად და ნვალების გარეშე ჩანერისა“ (არაყიშვილი, 1905:93). დ. არაყიშვილის ამ სიტყვების აქტუალობაში კვლავ დავრწმუნდი ქაშვეთის მგალობელთა, თქვენს წინაშე წარმოდგენილი აუდიო ნიმუშის გაშიფრვისას (მაგ. 4).

ნოტებზე გადმოტანილი მელიზმების სიმრავლე ფაქტურულად ამგავსებს ამ ჩანაწერს დ. არაყიშვილის ჩანაწერთან. თუმცა დამეთანხმებით, რომ ნოტებიდან უზუსტესად შესრულების პირობებშიც კი ნაკლებად შესაძლებელია ზუსტად აუღერდეს ის მუსიკალური ორნამენტები, რომლითაც ასე დახუნძლულია ქაშვეთის გუნდის გალობა. ეს მელიზმები უფრო ინტუიტიურად შესასრულებელია, გრძელი კახური სიმღერების მელიზმების მსგავსად.

ქართლ-კახური კილოს საგალობელთა მელიზმებით შესრულება რომ 60-იანი წლების გამოგონება არ არის, ამას დ. არაყიშვილის ჩანაწერები ადასტურებს. ამავე ჩანაწერების მიხედვით ვგებულობთ, რომ კარბელაშვილებისთვისაც არ იყო უცხო ამგვარი შესრულება.

წარმოდგენილი ნიმუშების ერთიანი მუსიკალური ფუძიდან წარმომავლობა, ჩვენი აზრით, სათუო არაა. ამიტომ, გასაკვირიც არ უნდა იყოს მათში საერთო საშემსრულებლო ტრადიციის არსებობა.

თუმცა, ამავე დროს, ვხედავთ მათ შორის სხვაობას, როგორც ფაქტურის, ისე ჰარმონიის ელემენტების თვალსაზრისით. დ. არაყიშვილის ჩანაწერებში ვხვდებით სიტყვიერ ტექსტში დამატებითი ხმოვნების გამოყენების ტრადიციას (შე-ი-ენ გიგალობთ), რაც უარყოფილია კარბელაშვილების ჩანაწერებში. დ. არაყიშვილის კრებულში შემავალი 36 საგალობლიდან, 21 საგალობელი ხმებს შორის კვარტ-კვინტაკორდული თანაფარდობით იწყება, რაც ასევე უცხოა კარბელაშვილების ჩანაწერებისთვის. მსგავსი დასაწყისი არც „ქაშვეთელების“ შესრულებაში გვხვდება, მაშინ, როცა დასავლური სამგალობლო სკოლებისთვის (განსაკუთრებით კი, შემოქმედის სკოლისთვის) ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ყოველივე ამით იმაზე გვსურს ყურადღების გამახვილება, რომ, როგორც დ. არაყიშვილის საგალობელთა კრებული, ისე ჩვენს ხელთ არსებული ქართლ-კახური კილოს ყოველი ნიმუში საგულდაგულო შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, რითაც შესაძლებელი გახდება, როგორც პრაქტიკაში, ისე სამეცნიერო სფეროში, აქამდე მხოლოდ „კარბელაანთ კილოთი“ წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია უფრო სრულად დავინახოთ ძველი ქართული გალობის მრავალფეროვან და მარადამოუცნობ სამყაროში.

დამონმებული ლიტერატურა

არაყიშვილი, დიმიტრი. (1925). *ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)*. თბილისი: მეცნიერება საქართველოში.

კარბელაშვილი, ვასილ და პოლივექტოს. (1899). *ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი) ლიტურღია. იოანე ოქროპირის წესი*. მიხეილ მიხეილის ძის იპოლოტოვიანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული და დაწერილი მღ. მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, ალ. მოლოდინაშვილისა და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა. თბილისი.

Àðàè:èàà, Àèì èòðé (1905). *Í Āðçèí ñèí é äóñ áíí é í àðí áíí é ì óçú èà* (ñ ï ðèèí ààí èàì í àí àáí à í à èèòòæè ñà. Èí àí í à Çèàòí óñ ä, ó äòçèí Òèò èèññè é äááðí èè). Ā èí.: Èðàò èè é í ððé ðàçàèò èý äòçèí ñèí é èàðò àèèí-èàçàò èí ñèí é í àðí áíí é í àíí è. Ì ï ñèàà: Òèí ðàò èý È. È. Í áí üòí àà.

მაგალითი 1. დ. არაყიშვილი, შენ გიგალობო
 EXAMPLE 1. D. Araqishvili, We Glorify Thee

Molto adagio Moderato Adagio

შე - ი - ენ - გა - ღობო
 se - i - en ga - lobt

ი - ო - ბო - ო,
 i o - bo - o,

შე - ი - ენ - გა - კურს - ჰეობ
 se - i - en ga - kurs - xebt

ii - u - ii ii

მაგალითი 2. დ. არაყიშვილი, შენ გიგალობთ
 EXAMPLE 2. D. Araqishvili, We Glorifi Thee

შე - ი - ცხ კა - გა - დობი
 Re - i - ch ka - ga - do bi

შე - ი - ცხ გა - კურსი სება
 Re - i - ch ga - kur si se ba

ე - ი - ე - ე

მაგალითი 3. კარბელაშვილები, შენ გიგალობთ
 EXAMPLE 3. Karbelashvili, We Glorifi Thee

შე - ხ გა - გა - მუა - ლი
 She - kh ga - ga - mu a - li

შე - ს გა - კურსი მობი
 She - s ga - kur si mo bi

მაგალითი 4. ქაშვეთის მგალობლები, შენ გიგალობთ
 EXAMPLE 4. Kashveti Church Singers, We Glorifi Thee

შენ ვა - კა - დობი
 Shen va - ka - do bi

შენ ვა - კურსი მობი
 Shen va - kur si mo bi